

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
2022 წლის შუალედური ფინანსური ანგარიში

## სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 წლის

### შუალედური ფინანსური ანგარიში

„ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დარეგულირების და ანგარიშვალდებულების წესი“-ის მოთხოვნათა დაცვით შედგა უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შუალედური ანგარიშგება, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ხელმძღვანელისათვის (რექტორისათვის) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის (კანცლერისათვის) სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდებას, როგორც გამოყენებული რესურსების, ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, დასახული მიზნების მიღწევის, ისე უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და არსებული მდგომარეობის შესახებ, ხარვეზებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფისათვის

2022 წლის ბიუჯეტი შედგენილია „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასილფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „ნაერთი ბიუჯეტის შედგენის წესის“ ნორმათა დაცვით. 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტი განისაზღვრა 53 729 760 ლარით, ხოლო შუალედური ანგარიშის მომენტისთვის შეადგინა 61 526 020 ლარი.

### საბიუჯეტო მაჩვენებლები

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტი ითვალისწინებს ძირითადი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ასევე კანონით, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული, ან/და ნებადართული სტრუქტურული ერთეულების მიერ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და ფუნქციონირებისათვის გამოყენებულ ფულად სახსრებს, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებით, საერთაშორისო გრანტების სახსრებით და კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებით(საკუთარი სახსრები), საიდანაც ყველაზე დიდი ხვედრითი წილი საკუთარ სახსრებს უკავია და შეადგენს 89,2%-ს( 54 880 230 ლარი).

შემოსულობები გაწერილია გადასახდელეებში პროგრამების და პროექტების მიხედვით, რომელიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის ღონისძიებების მიხედვით და ჩაშლილია ძირითად მიმართულებებად, ანუ ქვეპროგრამებად. ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, რაც,

თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას და გაწერილია დასაგეგმი წლის მასშტაბით, ანუ რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმიური მაჩვენებლები 2021 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 4 344 870 ლარით ნაკლებია, საიდანაც 4 086 336 ლარი საკუთარ სახსრებზე მოდის, რომლის ძირითადი მიზეზი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გათვალისწინებული სახსრებია და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან(მ.შ. სწავლებიდან) მისაღები შემოსავლებია, რაც შესაბამისად შეადგენს 1 804 046 ლარით და 2 282 290 ლარით ნაკლებს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება 121 757 ლარით მეტია, ხოლო საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტების დაფინანსება 380 291 ლარით ნაკლები.

დასახელება	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)	სხვაობა 2022 წლისა და 2021 წლის მაჩვენებლებს შორის
<b>სულ შემოსულობები</b>	<b>61 526 020</b>	<b>65 870 890</b>	<b>-4 344 870</b>
1.საკუთარი სახსრები	54 880 230	58 966 566	-4 086 336
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6 023 267	5 901 510	121 757
3.საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	622 523	1 002 814	-380 291

საანგარიშო პერიოდისათვის, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმის შესრულების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 92.2%-ს, კერძოდ:

დასახელება	კოდები	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო	შესრულების %
<b>სულ შემოსულობები</b>		<b>35 368 632</b>	<b>32 622 535</b>	92,2
ნაშთი პერიოდის დასაწყისში		5 082 235	5 151 885	
1.სწავლის საფასური სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების გათვალისწინებით	1.4.2.3.2.9	21 958 263	21 039 231	95,8
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება მ.შ.		5 197 086	3 570 568	68,7
2.1 საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	1.3.3.2.1.2	1 872 057	354 399	18,9

2.2 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა		2 610 100	2 502 365	95,9
2.3 „უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა“	1.3.3.1.1.2	145 154	145 154	100,0
2.3. 1.„უმაღლესი განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა“		12 375	11 250	90,9
2.5 სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს		528 900	528 900	100,0
2.2 პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“	1.3.3.1.1.2	28 500	28 500	100,0
<b>3.სამეცნიერო - კვლევითი გრანტები მ.შ.</b>		<b>1 235 042</b>	<b>1 144 139</b>	92,6
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1.3.3.1.1.2	1 000 000	915 396	91,5
საერთაშორისო(მიზნობრივი) გრანტები		235 042	228 743	97,3
<b>4.კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები</b>		<b>1 896 007</b>	<b>1 716 712</b>	90,5
4.1.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	1.4.2,3,2,1	321 000	199 291	62,1
4.2.შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და თვითდაფინანსების ცენტრებიდან	1.4.2.3.2.9	1 300 000	1 246 935	95,9
4.4. მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა (ს.ს.საქართველოს ბანკი; სან-დიეგო )	1.4.4.1	275 007	270 486	98,4

საანგარიშო პერიოდისათვის, დაფინანსების წყაროების მიხედვით, გეგმის შესრულების მაჩვენებლები შეადგენს:

დასახელება	6 თვის ბეჭედი	6 თვის საკასო შესრულებ	გადახრა	შესრულების %
<b>სულ შემოსულობები</b>	<b>35 368 632</b>	<b>32 622 535</b>	<b>-2 746 097</b>	<b>92,2</b>
1.საკუთარი სახსრები	31 982 215	29 351 277	-2 630 938	91,8
2.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები დაფინანსება	3 151 375	3 042 515	-108 860	96,5
3.საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტები	235 042	228 743	-6 299	97,3

გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საერთაშორისო(მიზნობრივი)გრანტის თანხებზე მოდის და შეადგენს 97,3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის შესრულების

მაჩვენებელი 96,5 %-ს შეადგენს, რისი მიზეზიც პროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ ფარგლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლში არსებული რესურსია, რაც გამოწვეულია ინსტიტუტების თანამშრომელთა გარდაცვალებით, ან დენადობით. მიუხედავად გამოცხადებული კონკურსებისა, ვაკანტური ადგილები სრულად არ ივსება, კონკურსის უმრავლესობა ჩაიშალა დაბალი შრომის ანაზღაურების გამო. ასევე, „მივლინების ხარჯები“ და სახელმწიფო შესყიდვას დაქვემდებარებული შესყიდვები, ყველა ინსტიტუტში, გათვალისწინებულია III-IV კვარტალში, რაც წინაპირობაა იმის, რომ საბიუჯეტო სახსრები წლის ბოლომდე ათვისებული იქნება სრულად.

### **2022 წლის 6 თვის შემოსავლების და გადასახდელების შესრულების ანალიზი საკუთარი სახსრების კრილში**

საკუთარი სახსრების გეგმიური მაჩვენებლების ხვედრითი წილი, 2022 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში, შეადგენს 89.2%-ს და განისაზღვრება 54 880 230 ლარით. ნაშთი 01.01.21 წლისათვის ხაზინაში შეადგენდა 5 151 885 ლარს, ს.ს. საქართველოს ბანკში - 5 674 ლარს, სულ - 5 157 559 ლარს, საიდანაც უკან დაბრუნებას ექვემდებარება 199 453 ლარი და გეგმაში აისახა 4 958 106 ლარი. მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა შეადგენს 31 982 115 ლარს, ხოლო საკასო შესრულების მაჩვენებელი - 29 351 277 ლარს, ანუ 91,8%-ს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული სახსრების ათვისებლობას, მაშინ შესრულების მაჩვენებელი იქნება 96,9%:

საკუთარი სახსრებიდან მისაღებ შემოსავლებში, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის სწავლის საფასურზე, რომლის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სასწავლო გრანტი(ვაუჩერული დაფინანსება), პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან გადახდილი გადასახადი და 2022 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა 42 649 440 ლარით. სწავლის საფასურის გეგმიური მაჩვენებელი აღებულია ფაკულტეტებისა და სასწავლო დეპარტამენტისაგან გადმოცემული მონაცემების მიხედვით, მათ შორის პირველ კურსზე მისაღები, პროფესიული სწავლებისა და ქართულ ენაში მოსამზადებელი კონტინგენტის გათვალისწინებით და მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა 21 958 263 ლარს შეადგენს, ხოლო საკასო შემოსავალი - 21 039 231 ლარს, რაც გეგმის შესრულების 95,8%-ია, მათ შორის პროფესიული სწავლების ვაუჩერის თანხა 1 044 899 ლარია, ანუ ფაკულტეტებიდან სწავლის საფასურის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 19 994 577 ლარს, აქედან სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან, გადახდილი სწავლის საფასური შეადგენს 10 986 225 ლარს, ხოლო სასწავლო გრანტის(ვაუჩერული დაფინანსება), პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების თანხა - 9 008 107 ლარს. ფაკულტეტების მიხედვით სწავლის საფასურის გეგმის შესრულების მაჩვენებლები შეადგენს:

N	ფაკულტეტის დასახელება	შემოსავლების 6 თვის გეგმა	შემოსავლების 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა ამოსაღებ თანხასა და საკასო შესრულებას შორის	შესრულების %
1	სამშენებლო	2 276 850	2 323 554	46 704	102,1
2	ენერგეტიკა	1 807 010	1 762 736	-44 274	97,5
3	სამთო-გეოლოგიური	1 110 200	1 061 976	-48 224	95,7
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	795 420	684 484	-110 936	86,1
5	სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერია	1 340 420	1 190 049	-150 371	88,8
6	არქიტექტურა	1 300 205	1 326 625	26 421	102,0
7	ბიზნესტექნოლოგიები	2 206 970	2 209 999	3 029	100,1
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	3 495 940	3 379 369	-116 572	96,7
9	დიზაინის სკოლა	268 100	244 428	-23 672	91,2
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	2 271 485	2 243 740	-27 745	98,8
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	1 651 680	1 259 183	-392 497	76,2
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	2 433 980	2 308 189	-125 792	94,8
	<b>სულ:</b>	<b>20 958 260</b>	<b>19 994 332</b>	<b>-963 928</b>	<b>95,4</b>

აღნიშნული მონაცემების მიხედვით სწავლის საფასურის ამოღების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 95,4 %-ია, აქედან პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი ფაკულტეტების შესრულების მაჩვენებელი 100 %-ს უტოლდება, ხოლო შედარებით დაბალი მაჩვენებელია(76-87%) საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიების, ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის ბიუჯეტი გაწერილია პროგრამების მიხედვით, განვიხილოთ გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები თითოეული პროგრამის მიხედვით, რადგან შუალედური ანგარიში მოგვცემს შესაძლებლობას დავინახოთ, რისი მიღწევაა შესაძლებელი ფინანსური წლის განმავლობაში, კერძოდ:

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	გადასახდელე ბის 6 თვის გეგმა	გადასახდელე ბის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა საკასო შესრულებასა და გეგმას შორს	შესრულე ბის %
<b>01 01</b>	უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება	6 415 000	5 316 012	-1 098 988	82,9
<b>01 02</b>	უმალესი განათლება(ფაკულტეტები)	18 410 630	14 737 803	-3 672 827	80,1
<b>01 03</b>	სტუდენტთა ხელშეწყობა	75 000	63 837	-11 163	85,1
<b>01 04</b>	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	2 742 015	2 202 099	-539 916	80,3
01 04 01 01	მ.შ.სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს სამეცნიერო ფონდის გრანტები	1 607 290	1 328 888	-278 402	82,7
<b>01 05</b>	პროფესიული განათლება	891 440	714 305	-177 135	80,1
<b>01 06</b>	კულტურისა და სპორტის ხელშეწყობა	278 645	223 870	-54 775	80,3
<b>01 07</b>	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 109 985	4 360 479	-1 749 506	71,4
	<b>სულ</b>	<b>34 922 715</b>	<b>27 618 405</b>	<b>-7 304 310</b>	<b>79,1</b>

პროგრამების შესრულების საშუალო მაჩვენებლი 79,1 %-ა, რაც გამოწვეულია, კვარტალური განწერის დროს, უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის წლის პირველ ნახევარში დაგეგმვით. ღონისძიებების ძირითადი ნაწილი წლის მეორე ნახევარში შედგება და შესაბამისად აისახება გეგმის შესრულების მაჩვენებლებზეც და ასევე, ინფრასტრუქტურული სამუშაოების შეუსრულებლობით, რომლიც გამოიწვია დიდ ჯიხაიშის კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროებით შეჩერებამ, სამშენებლო კომპანიის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 151 369 ლარი იქნა ათვისებული, ნაცვლად გათვალისწინებული 2 799 610 ლარისა.

პროგრამების მიხედვით შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „სტუდენტთა ხელშეწყობის“ პროგრამაზე მოდის და შეადგენს 85,1%. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარადა ბევრი აქტივობები, როგორც სპორტული, ასევე კულტურული მიმართულებებით და ჩვენმა უნივერსიტეტმა საპატიო ადგილები დაიკავა. ცალკე უნდა აღინიშნოს სტუდენტების ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესების და ამ მიმართულებით უნარ - ჩვევების შექმნის მიზნით,

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ჩატარებული სტუდენტური ჰაკათონის, ასევე, თურქეთის რესპუბლიკაში, სტუდენტთა საერთაშორისო კულტურულ - აკადემიური შეხვედრის (ICAMES) შესარჩევ ტურში, ჩვენი სტუდენტების წარმატებული მონაწილეობისა და ცერნის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (Cern Summer Student Program), ჩვენი სტუდენტის გამარჯვების შესახებ. წლის ბოლომდე დაგეგმილია ბევრი საინტერესო ღონისძიება, თუ აქტივობა, რაც გეგმით გათვალისწინებული ფინანსური რესურსის სრულად ათვისების წინაპირობაა.

საანგარიშო პერიოდისათვის, 2022 წლის ბიუჯეტი საკუთარი სახსრების ჭრილში(54 880 230 ლარი), ყველაზე დიდი ხვედრითი წილი „უმაღლესი განათლების“ პროგრამაზე მოდის და შეადგენს 56%-ს. პროგრამის შესრულების საშუალო მაჩვენებელი 80%-ია, რაც ძირითადად გამოწვეულია ახალი პროგრამების აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის და ანგარიში/მონიტორინგისთვის, თანხების წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებით. სულ აკრედიტაციისათვის გათვალისწინებულ იქნა 596 935 ლარი, შესრულებამ შეადგინა 129 493 ლარი, ანუ გეგმის 21,7%, რაც ათვისებულ იქნება სრულად წლის მეორე ნახევარში და შესაბამისად გაზრდის გეგმის შესრულების მაჩვენებელს. გადასახდელები თითოეული ფაკულტეტის მიხედვით შეადგენს:

№	ფაკულტეტები	გადასახდელების ნ თვის გეგმა	გადასახდელების ნ თვის საკასო	სხვაობა გეგმასა და საკასო შესრულებას შორის	შესრულების %
1	სამშენებლო	1 870 865	1 512 093	-358 772	80,8
2	ენერგეტიკა	1 284 740	1 041 078	-243 662	81,0
3	სამთო-გეოლოგიური	1 266 030	984 818	-281 212	77,8
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	1 466 705	1 148 362	-318 343	78,3
5	სატრანსპორტო და მექანიკის ინჟინერია	1 467 080	1 157 687	-309 393	78,9
6	არქიტექტურა და დიზაინი	974 880	773 487	-201 393	79,3
7	ბიზნესტექნოლოგიები	1 310 675	1 049 585	-261 090	80,1
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	3 799 460	3 077 604	-721 856	81,0
9	დიზაინის საერთაშორისო სკოლა	335 485	274 587	-60 898	81,8
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი	1 335 140	1 073 780	-261 360	80,4
11	საინჟინრო ეკონომიკა და მედიატექნოლოგიები	1 822 490	1 463 528	-358 962	80,3
12	სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები	1 477 080	1 181 194	-295 886	80,0
	სულ	18 410 630	14 737 803	-3 672 827	80,1



ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ 2022 წლის ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, რომლის 6 თვის გეგმა, პროგრამების შესაბამისად, განისაზღვრა 34 922 715 ლარით, ხოლო შესრულება - 27 618 405 ლარით, რაც გეგმის შესრულების 79.1%-ია, კერძოდ:

N	დასახელება	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
	<b>სულ ასიგნება</b>	<b>34 922 715</b>	<b>27 618 405</b>	<b>-7 304 310</b>	<b>79,1</b>
	<b>ხარჯები</b>	<b>29 796 849</b>	<b>26 377 206</b>	<b>-3 419 643</b>	<b>88,5</b>
1	შრომის ანაზღაურება	14 911 366	14 784 568	-126 798	99,1
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	5 663 000	5 362 696	-300 304	94,7
3	მივლინება	300 000	221 259	-78 741	73,8
4	ოფისის ხარჯები	5 930 483	4 254 597	-1 675 886	71,7
4.1.	კომუნალური ხარჯები	1 230 000	1 227 689	-2 311	99,8
4.2.	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	3 750 000	2 741 735	-1 008 265	73,1
4.3.	სხვა დანარჩენი ოფისის ხარჯები	950 483	285 173	-665 310	30,0
5	წარმომადგენლობითი ხარჯები	70 000	48 852	-21 148	69,8
7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	24 000	23 415	-585	97,6
8	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	68 000	67 173	-827	98,8
9	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	600 000	422 522	-177 478	70,4
10	გრანტები	10 000	2 131	-7 869	21,3
11	სოციალური უზრუნველყოფა	20 000	7 483	-12 517	37,4
12	სხვა ხარჯები	2 200 000	1 182 510	-1 017 490	53,8
12.1.	საგადასახადო ვალდებულებები და მოსაკრებლები	160 000	157 161	-2 839	98,2
12.2.	ემერიტუსის ანაზღაურება	565 000	563 680	-1 320	99,8
12.3.	ავსტრიის ბანკის მარჟა	115 000	113 157	-1 843	98,4
12.5.	სხვა დანარჩენი ხარჯი (მ. შ. საგრანტო დაფინანსება; სტუდენტების დაფინანსება)	1 360 000	348 512	-1 011 488	25,6
13	არაფინანსური აქტივების ზრდა	5 125 866	1 241 199	-3 884 667	24,2
13.1.	მ.შ. არაწარმოებული აქტივები	596 935	129 492	-467 443	21,7

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, ყველა სასიცოცხლო და ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გადასახდელების გეგმა შესრულებულია მაღალი პროცენტით, სრულად არის გაცემული თანამშრომელთა შრომის და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება. შედარებით დაბალი მაჩვენებლებია „გრანტის“, „სოციალური დახმარების“, „სხვა ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებულ საკასო შესრულებაში. „გრანტის“ მუხლით გათვალისწინებულია საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადი, რომელიც წლის ბოლომდე ათვისებული იქნება სრულად; „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებულია თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის ანაზღაურება და ასევე, თანამშრომელთა სხვა სახის დახმარება, რომლის საჭიროება არ დამდგარა. „სხვა ხარჯების“ მუხლის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი, თანამშრომელთა დაზღვევისთვის გათვალისწინებული თანხაა, რომლის გადარიცხვა სადაზღვევო ორგანიზაციაზე განხორციელდა ივლისის თვეში, რაც დარჩენილ პერიოდში განხორციელდება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში და ათვისებულ იქნება სრულად, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული გადასახდელების შესრულების დაბალი მაჩვენებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ჯიხაიშის კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუსრულებლობაა.

გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, თუმცა საჭიროებს ზოგიერთი დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას:

1. მკაცრად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვები;
2. გამსხვილდეს და გაერთიანდეს სასწავლო ჯგუფები;

საანგარიშო პერიოდის შემოსულობების და გადასახდელების შესრულების 6 თვის მაჩვენებლები, გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ წლის განმავლობაში უნივერსიტეტში შეუფერხებლად მოხდება თანამშრომელთა ხელფასებით უზრუნველყოფა, კომუნალური და საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, თანამშრომელთა სადაზღვევო პრემიის სრულად დაფინანსება, უნივერსიტეტის ფუნქციონირებისა და აკრედიტაციის საბჭოს დასკვნის შესაბამისად, მატერიალურ-ტენიკური ბაზის გაუმჯობესება, ყველა სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის, რეაკრედიტაციის, ანგარიში/მონიტორინგის საფასურის სრულად დაფინანსება.

